შპს „საგზაო“

ს/კ419993029

20/04/2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „საგზაო“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის ტერიტორიაზე გეგმავს ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას. დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ: პუნქტი 5.1. – „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება“.

კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე მომზადდა და სამინისტროში წარდგენილი იქნა სკრინინგის განაცხადი, რაზედაც სამინისტროს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაქვემდებარების თაობაზე (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 07/04/2022 წლის ბრძანება № 2-275).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ელექტრონული კოორდინატები;

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-9 მუხლის შესაბამისად გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

პატივისცემით,

ნანა შამათავა

შპს „საგზაო“-ს დირექტორი

საქართველო. შპს "საგზაო" * 419993029 * GEORGIA. "SAGZAO" LTD

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 02 სტ. № 9987 20.04.22